სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

75834756488521

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N21348459

რეგისტრაციის თარიღი

03.12.2021 წ

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
ტელეფონი: 595 07 52 44

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის სამ დეკემბერს მე, ნოტარიუსს საქართველოში ზაალი ზაქარაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი N 47-ში, მომმართა დავით ჯორჯოლიანმა , რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) დირექტორი და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით ჯორჯოლიანმა (დაბადებული : 20.01.1971 წელი, დაბადების ადგილი- საქართველო, თბილისი, პირადი N 01024038661, მცხოვრები: კასპი ს. თელადგორი -ში).მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი არის „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი : **B21117759, 23/11/2021 23:06:27;**

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, დავით ჯორჯოლიანი როგორც შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) დირექტორი ამ მინდობილობით გიორგი ჯორჯოლიანს (დაბადებული: 20.12.1998 წელი, პირადი N 01024089687) ვანიჭებ უფლებამოსილებას:

1. იყოს შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) მინდობილი პირი და დაიცვას შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) ინტერესები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, სამინისტროებში, მათ ნებისმიერ სამსახურებში, მათ დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, სანოტარო ბიუროში, სამოქალაქო რეესტრში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, არქიტექტურის სამსახურებში, სამართალდამცავ ორგანოებში, ყველა არქივში, წარადგინოს/მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია/ცნობა/დოკუმენტაცია, შეიტანოს განცხადებები ნებისმიერი სახის ნებართვის ასაღებად და აიღოს ნებართვები, დადოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები თავისი შეხედულებისამებრ, შეიტანოს ცვლილებები და/ან გააუქმოს კომპანიის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება, მოაწეროს ხელი, ასევე ხელი მოაწეროს მორიგებებს, მიღება ჩაბარების-აქტებს და სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას კომპანიის სახელით და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.
2. ასევე დაიცვას შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) ინტერესები საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, მის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, (მათ შორის GSN სალარო აპარატების სერვისებთან დაკავშირებით), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, დავების განმხილველ საბჭოში, აუდიტის სამსახურში და მათ ქვემდებარე ნებისმიერ სამსახურში, წარადგინოს/მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობა/ინფორმაცია/დოკუმენტაცია, შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში, დაარეგისტრიროს სალარო აპარატი, გააუქმოს სალარო აპარატი, მოახდინოს სალარო აპარატის მისამართის და/ან მისამართის ცვლილების რეგისტრაცია, მიიღოს rs.ge-ის პაროლი, განაახლოს და /ან შეცვალოს პაროლი, აწარმოოს მოლაპარაკებები, წარადგინოს განცხადება, დეკლარაცია, საჩივარი, აწარმოოს ნებისმიერი საქმე, დავა, გაეცნოს ნებისმიერ დოკუმენტს, ოქმს, გადაწყვეტილებას, ხელშეკრულებას, შედარების აქტს, სამართალდარღვევის ოქმს და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი, ინფორმაცია, ცნობა, მოწმობა, გადაწყვეტილება, შედარების აქტი, დეკლარაცია, ბარათები, გადაიბადოს გადასახადები და აშ. მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს, ხელშეკრულებას და ნებისმიერ სხვა დოკუმენტს რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.
3. იყოს „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „ - წარმომადგენელი საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერ ბანკში და მის ნებისმიერ ფილიალში რათა „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) სახელით გახსნას და/ან დახუროს ნებისმიერი საბანკო ანგარიში (ანაბარი), ნებისმიერ ვალუტაში; ასევე მართოს და განკარგოს „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909)

ცნილი ნებისმიერი საბანკო ანგარიშები (ანაბრები), განახორციელოს ნებისმიერი სახის საბანკო ტრანზაქცია, ძრად შეიტანოს და გამოიტანოს თანხა ანგარიშებიდან (ანაბრებიდან), ნებისმიერი ოდენობით, ნებისმიერ ვალუტაში; მოახდინოს გადარიცხვა, კონვერტაცია, ასევე აიღოს ბანკომატის მიერ დაკავებული პლასტიკური ბარათი და გააქტიუროს, დაამზადოს ახალი პლასტიკური (განმეორებითი პლასტიკური ბარათი) ბარათი გააქტიუროს, დაამზადებინოს და აიღოს ბიზნესბარათი, მიიღოს პინ კოდი და ა. შ. ისარგებლოს ბანკში არსებული ყველანაირი დისტანციური პროდუქციებით, ინტერნეტბანკით, მობილ ბანკით და სხვა, აიღოს პინ კოდი, დიჯიპასი და გააქტიუროს, მიიღოს ცნობები , საბანკო ამონაწერი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

4. იყოს შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) წარმომადგენელი საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერ ბანკში და მის ნებისმიერ ფილიალში, ნებისმიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, საკრედიტო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან რათა შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) სახელით აიღოს ნებისმიერი სახის და ოდენობის სესხი (უზრუნველყოფილი/არაუზრუნველყოფილი), გააფორმოს სესხის (გენერალური საკრედიტო და/ან სხვა ნებისმიერი ხელშეკრულება) ხელშეკრულება. განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები, შეიტანოს ცვლილებები და გააქტმოს კომპანიის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება, მოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ამონაწერი, დაფაროს სესხი, დაფაროს სესხი წინსწრებით (სრულად და/ან ნაწილობრივ), მოაწეროს ხელი ნებისმიერი სახის დოკუმენტს და შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

5. დატვირთოს იპოთეკით/დააგირაოს „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) კუთვნილი ნებისმიერი უძრავი/მოძრავი ქონება ნებისმიერი ბანკის, ნებისმიერი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, ნებისმიერი სადაზღვეო კომპანიის, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის სასარგებლოდ, ნებისმიერი სესხის/ვალდებულების უზრუნველსაყოფად შეიტანოს ცვლილებები მათში და გააუქმოს იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებები, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები (მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის 3' პუნქტის და ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის გამოყენების და ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ, ასევე თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს არბიტრაჟის წესით საქმის განხილვის საკითხი), ხელი მოაწეროს იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებას, ხელშეკრულებას იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელშეკრულებას იპოთეკის/გირავნობის გაუქმების შესახებ, ხელი მოაწეროს ყოველგვარ საჭირო დოკუმენტაციას, გაატაროს საჯარო რეესტრში (ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოში) და შეასრულოს ყოველგვარი მოქმედება ამ დავალებებთან დაკავშირებით.

6. შეუზღუდავად მართოს და განკარგოს მიმნდობის სახელით ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება (მათ შორის, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები, მიწის ნაკვეთები და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები, ტრანსპორტი და სხვა). დადოს გარიგება, რომელიც დაკავშირებული იქნება მინდობილი საკუთრების მართვასა და განკარგვასთან, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით: მათ შორის, მოახდინოს უძრავ-მოძრავი ქონების მიმნდობის სახელზე დაკანონება/რეგისტრაცია. გადააფორმოს მესამე პირზე, გამოუწნოს, გაყოს, გააერთიანოს, მიანიჭოს შესაბამისი საკადასტრო კოდი, ნომერი, მოახდინოს ქონებასთან დაკავშირებული მშენებლობები და/ან დაშენება/მიშენება, რე, პროექტების, ფოტომონტაჟის წარდგენა, ელექტრონული ვერსიით ჩაბარება, შესაბამისი ნებართვების მიღება, ფართის აზომვა/დაზუსტება, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება/კორექტირების შეტანა, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, ხარვეზის გამოსწორება, იყიდოს და/ან გაყიდოს, იჩუქოს და/ან გააჩუქოს, მიიღოს და/ან დათმოს, გაცვალოს, გააქირაოს, გასცეს იჯარით, დატვირთოს იპოთეკით და/ან სხვა ვალდებულებებით, გაათავისუფლოს იპოთეკისაგან, ყადაღისაგან და/ან სხვა შეზღუდვა/ვალდებულებებისაგან, მოახდინოს ფართზე ფიზიკური და იურიდიული პირების რეგისტრაცია/ჩაწერა და/ან რეგისტრაცია/ჩაწერიდან მოხსნა. დადოს, გააუქმოს და/ან შეიტანოს ცვლილებები ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულება(ში) (მათ შორის, ქონების ნასყიდობის, ქონების ნასყიდობის გადახდის განვადებით, ქონების ჩუქების, წინარე ხელშეკრულებები, იპოთეკის, სესხისა და იპოთეკის, ბე-ს. ასევე, მათში ცვლილება/დამატების შეტანის, გაუქმების შესახებ და სხვა), შემდგომში მათი შესაბამის სამსახურში რეგისტრაციის უფლებით. მინდობილი უფლებამოსილია განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები, მიიღოს და/ან გასცეს ნებისმიერი თანხა, რაც დაკავშირებულია მინდობილი საკუთრების მართვისა და განკარგვის უფლების რეალიზაციასთან. მინდობილი უფლებამოსილია, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დადოს გარიგება საკუთარ თავთან, ესე იგი გარიგებაში ერთდროულად წარმოადგინოს მიმნდობი და/ან მესამე პირი და/ან საკუთარი თავი (მინდობილი);

მინდობილი იცავს შპს „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „ ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით მინდობილი „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, სანოტარო ბიუროში, სამოქალაქო რეესტრში, სოციალური მომსახურების სააგენტოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, არქივებში, ნებისმიერ ბანკში, სამართალდამცავ ორგანოებში, არბიტრაჟში, შემოსავლების სამსახურში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

ელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს. აღნიშნულის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. მათ შორის შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, სააღსრულებო ბიუროში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გადაიღოს ამონაწერები ამ მასალიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს; განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა–განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს ყველა საკითხზე. უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა. გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი. წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი.

8. მინდობილი უფლებამოსილია „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- სახელით მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი და წარადგინოს აღსასრულებლად, მიიღოს მონაწილეობა აღსრულების პროცესში, გაასაჩივროს აუქციონის შედეგები.
9. მინდობილი უფლებამოსილია „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „ სახელით აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებებზე, დაანგრიოს არსებული შენობა-ნაგებობები და ააშენოს ნებისმიერი შენობა-ნაგებობა. ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყოველგვარი საჭირო საბუთები, იყოს კომპანიის წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, სანოტარო ბიუროში, საჯარო რეესტრში, მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში, თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, საკრებულოში, მუნიციპალურ ორგანოებში, საგზაო დეპარტამენტში, შემოსავლების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, შეიტანოს/მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის განცხადება/ცნობა/ინფორმაცია, მათ შორის შეიტანოს განცხადება მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს პროექტი შესაბამის სამსახურებთან, მიიღოს პროექტი და მშენებლობის ნებართვა, შეიტანოს დამატებითი განცხადებები პროექტის ცვლილებასთან (ნებისმიერი სახის ცვლილებასთან) დაკავშირებით, შეცვალოს პროექტი და აწარმოოს მშენებლობა პროექტის მიხედვით, დარგოს და/ან მოჭრას (ნებისმიერი სახით გაათავისუფლოს ნაკვეთი ნებისმიერი სახის მცენარისაგან) მცენარე (იგულისხმება ნებისმიერი სახის მცენარე : ხე, ბუჩქი და ა.შ), აწარმოოს შესაბამისი მოქმედებები, მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ნებართვები, წარადგინოს კომპანიის სახელით განცხადებები, მიიღოს ყოველგვარი დოკუმენტაცია, დადოს ხელშეკრულებები საამშენებლო ორგანიზაციებთან, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დამტკიცებული პროექტის შესაბამისად მშენებლობის წარმოების, აშენების შესახებ, მიიღოს ექსპლუატაციაში, გაატაროს აღნიშნული შენობა-ნაგებობები სამართლებრივ რეგისტრაციაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, შეასწოროს ხარვეზი, გამოკნოს, გააერთიანოს, შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, ააშენოს შენობები, დაარეგისტრიროს შენობები საჯარო რეესტრში, მიიღოს ამონაწერები და შეასრულოს ყოველგვარი მოქმედება ამ დავალებებთან დაკავშირებით. იყოს „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სამშენებლო კომპანიებთან, რათა აწარმოოს მოლაპარაკებები (მათ მომსახურების ხელშეკრულება), თავად განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები თავისი შეხედულებისამებრ. უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ნებისმიერ ხელშეკრულებაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია გააუქმოს ნებისმიერი ხელშეკრულება.
10. იყოს „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- წარმომადგენელი კომუნალური მომსახურების სამსახურებთან (თელასი, ყაზტრანსგაზ თბილისი, წყალკანალი, დასუფთავების სამსახურში, სატელეფონო და ინტერნეტ პროვაიდერებთან, საკაბელო ტელევიზიებთან და შესაბამის სამსახურებტან) რათა განახორციელოს ყველა მოქმედება რაც „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- ზემოაღნიშნულ კომუნალური მომსახურების სამსახურებში უფლებების დაცვასთან იქნება საჭირო, წარადგინოს ნებისიერი, განცხადება, მოითხოვნა, დამარეგისტრიროს აბონენტად, მოითხოვოს დამატებითი წერტილების შემოყვანა, ისარგებლოს სხვა ყველა უფლებით, შეწყვიტოს სააბონენტო მომსახურება. მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, კომპანიის სახელით წარადგინოს ნებისმიერი განცხადება, მოთხოვნა, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა, საბუთი, ხელშოწა, ამონაწერი, აპლიკაცია, გეგმა, ნახაზი, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები.

ასევე დაიცვას „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- ინტერესები საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ფორმების ეკონომიკურ ზონებში, ნებისმიერ გადამზიდავ კომპანიებში, ნებისმიერ საზღვაო/საჰაერო/სახმელეთო სივრცეში რათა მიიღოს „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „-) სახელზე არსებული ნებისმიერი ტვირთი, საკონტეინერო და/ან არასაკონტეინერო ტვირთი, საქონელი რისთვისაც აწარმოოს ნებისმიერი სატერმინალო, საკონტეინერო, სასაქონლო ოპერაციები და გააფორმოს (განაბაჟოს). ასევე უზრუნველყოს ნებისმიერი ტვირთის, საქონლის, კონტეინერის და სხვა ნებისმიერი ტვირთის ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე, ასევე „შპს „ მ-მ „- ის (საიდ N 202061909) „- სახელით განახორციელოს ნებისმიერი ტვირთის, საკონტეინერო და/ან არასაკონტეინერო ტვირთის, საქონელის იმპორტი/ექსპორტი და/ან რეექსპორტი, რისთვისაც ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას, მათ შორის გადაზიდვის ხელშეკრულებას, ნებისმიერ ფიზიკურ პირთან, იურიდიულ პირთან, გადამზიდავთან და აშ.

12. უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის, თვითმმართველი ქალაქის და სხვა ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ გამართულ ნებისმიერ აუქციონში, ტენდერში, წარადგინოს სატენდერო დოკუმენტაცია რისთვისაც განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადი და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება კომპანიის ინტერესების დასაცავად. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, ხელშეკრულებას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.
13. აღნიშნული დავალებების განხორციელების მიზნით მიმნდობის სახელით შეადგინოს განცხადების/თანხმობის ნებისმიერი შინაარსის ტექსტი დანიშნულებისამებრ წარსადგენად, გადაიხადოს და/ან დაიბრუნოს დაწესებული გადასახადები, ჩააბაროს და/ან მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მათ. მოახდინოს ნებისმიერი დოკუმენტაციის თარგმნა, ლეგალიზაცია და/ან აპოსტილით დამოწმება.
14. მინდობილი პირი უფლებამოსილია განახორციელოს ყველა მოქმედება რაც კომპანიის დირექტორს მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობითა და კომპანიის წესდების საფუძველზე.
15. მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით .
16. მინდობილობა გაცემულია მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებათა მესამე პირებზე სრულად და/ან ნაწილობრივ გადანდობის უფლებით.
17. მინდობილობა დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია საზღაური ათი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლისა აგრეთვე დღგ 1,80 (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად) და ორი ლარი თანახმად 39 მუხლისა დღგ-ს ჩათვლით. სულ გადახდილია საზღაური 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

დავით ჟორჟოლიანი

ნოტარიუსი: ზაალი ზაქარაშვილი

ნოტარიუსი ზაალი ზაქარაშვილი
NOTARY ZAALI ZAKARASHVILI
60001078116
ქ. ბათუმი - GEORGIA